ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 175

18 მაისი
"___" _____ 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ილიკო სუხიშვილის ქუჩა, №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.20.01.138.092.01.500; №01.20.01.138.092.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ილიკო სუხიშვილის ქუჩა №7-ში (საკადასტრო კოდი: №01.20.01.138.092.01.500; №01.20.01.138.092.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის №21.543.648 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ილიკო სუხიშვილის ქუჩა, №7-ში, სარდაფში მდებარე 29.08 კვ.მ. და პირველ სართულზე მდებარე 51.85 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.20.01.138.092.01.500; №01.20.01.138.092.01.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე შორენა ბექაურისთვის (პ/ნ: 01008018731) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**